ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7893102

ნომერი: AR11136509

თარიღი : 01.04.2026

გაცემის თარიღი : 23.04.2026

გაცნობის თარიღი : 29.04.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბოჭორმას ქუჩა, N 16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ოკრიბელაშვილი პ/ნ 35001031772
- რუსთავი გ.ოდიშარიას ქ. კორ. 25 ბ. 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 15 იანვრის №7773513 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 1 აპრილს №AR11136509 განაცხადებით მომართა ნინო ოკრიბელაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2026

წლის 15 იანვრის №7773513 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 15 იანვრის №7773513 ბრძანებით, №01.17.13.041.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის („ა“ ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2026 წლის 15 იანვრის №7773513 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილებას და შპს "ავლაბარი ჰოტელ რეზიდენსის" (ს/ნ: 405121960) ნაცვლად შპს „ბოჭორმა 16“-ის (ს/ნ: 406537920) დაფიქსირებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882026240356, მომზადების თარიღი: 01/04/2026წ.) თანახმად, №01.17.13.041.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე განთავსებული ოფისის („ა“ ბლოკი) ფართების მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ბოჭორმა 16“ (ს/ნ: 406537920). ამასთან, აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "ავლაბარი ჰოტელ რეზიდენსი" (ს/ნ: 405121960). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B25038437, მომზადების თარიღი: 17/03/2025 წ.) თანახმად, შპს "ავლაბარი ჰოტელ რეზიდენსის" ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დიმიტრი გოხელაშვილი (პ/ნ: 59004001068).
აღსანიშნავია, რომ წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია შპს "ავლაბარი ჰოტელ რეზიდენსის" ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დიმიტრი გოხელაშვილის მიერ 2026 წლის 21 აპრილს გაცემული თანხმობა სამსახურის 2026 წლის 15 იანვრის №7773513 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილებასთან და დამკვეთად შპს „ბოჭორმა 16“-ის დაფიქსირებასთან დაკავშირებით. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B26002912, მომზადების თარიღი: 14/01/2026 წ.) თანახმად შპს „ბოჭორმა 16“-ის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ნინო ოკრიბელაშვილი (პ/ნ: 35001031772). შესაბამისად, დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.17.13.041.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე განთავსებული ოფისის („ა“ ბლოკი) ფართების მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ბოჭორმა 16“ (ს/ნ: 406537920) და ამასთან, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია აღნიშნული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს "ავლაბარი ჰოტელ რეზიდენსის" ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ 2026 წლის 21 აპრილს გაცემული თანხმობა 2026 წლის 15 იანვრის №7773513 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილებასთან და დამკვეთად შპს „ბოჭორმა 16“-ის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ თანხმობა 2026 წლის 15 იანვრის №7773513 ბრძანებაში ცვლილების შეტანას დამკვეთის ინფორმაციასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 15 იანვრის №7773513 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „ბოჭორმა 16“ (ს/ნ: 406537920).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 15 იანვრის №7773513 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 15 იანვრის №7773513 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge